

**გამოკითხვა:**

მოგეწონათ თუ არა სასწავლო კურსი?

ა) დიახ ბ) არა გ) არ ვიცი

რას შეცვლიდით თქვენთვის რომ უფრო კომფორტული იყოს აღნიშნული კურსი?

ა) დავამატებდი თემებს ბ) სტუდენტებს თარჯიმნებს დავუსვამდი გ) არაფერს დ) სხვა -----  
-

რა იყო ყველაზე მეტად გაუგებარი?

-----

რა იყო ყველაზე გასაგები?

-----

როგორ ფიქრობთ რა უფრო გააადვილებდა მუშაობას?

ა) მეტი დრო ბ) ქართულ ენაზე რომ ყოფილიყო გ) მეტი სასწავლო მასალა დ) ქართველ სტუდენტებთან ყოფნა

დაასახელეთ კონკრეტულად რა გინდათ რომ მსგავსი კურსების დროს თქვენთვის უნივერსიტეტმა გააკეთოს?

## გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პროექტში მონაწილე რვავე სტუდენტმა.

კითხვაზე

**მოგეწონათ თუ არა სასწავლო კურსი?**

- დიახ - 8
- არა - 0
- არ ვიცი - 0

კითხვაზე

**რას შეცვლიდით თქვენთვის რომ უფრო კომფორტული იყოს აღნიშნული კურსი?**

- დავამატებდი თემებს
- სტუდენტებს თარჯიმნებს დავუსვამდი - 7
- არაფერს
- სხვა - 1

კითხვაზე

**რა იყო ყველაზე მეტად გაუგებარი?**

- გაუგებარი იყო ლექციის დროს დისკუსია, რადგანაც ვერ ვფლობ ენას;
- იმდენად კვალიფიციური და საუკეთესო ლექტორები გვიტარებდნენ ლექციებს, რომ გაუგებარი ნამდვილად არ იყო არაფერი. ჩვენთვის წინააღმდეგობას მხოლოდ ენობრივი ბარიერი წარმოადგენდა;
- ძირითადად ენობრივი ბარიერი იყო ჩვენთვის პრობლემა;
- გაუგებარი მაინცდამაინც არაფერი, ჩვენ უფრო ენის ბაიერი გვექონდა და ის გვიშლიდა ხელს, თორემ ლექციები პრაქტიკული და სასარგებლო იყო ჩვენთვის როგორც მომავალი მასწავლებლებისთვის;
- ლექციებზე პირდაპირ დასმული შეკითხვები ენობრივი ბარიერის გამო ზოგჯერ გაუგებარი იყო და მიჭირდა პასუხის გაცემა;
- ჩემთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა უცხო ენის არცოდნა;
- ენის არცოდნა იყო ყველაზე დიდი პრობლემა, მოცემული საკითხები კი არ იყო რთულად გასაგები.

კითხვაზე

**რა იყო ყველაზე გასაგები?**

- გასაგები იყო თარგმნილი მასალები, რომელსაც კვირიდან კვირამდე გვაწვდიდით;
- ყველაზე გასაგები და მნიშვნელოვანი იყო თუ რამდენად დიდი პასუხისმგებლობა და მნიშვნელობა აქვს სოც. მუშაკებს. ასევე გასაგები იყო ფუნქციური ქცევითი ანალიზი(FBA);
- დავალებები რომლებსაც აგზავნიდნენ ძალიან კარგი იყო და გვიადვილდებოდა შემდეგ მუშაობა;
- წინასწარ გამოგზავნილი მასალები;
- თუ რა არის Token Economy და ასევე რამდენად დიდი როლი უჭირავს სოციალურ მუშაკს;
- კონკრეტულ თემებზე აგებული ვიდეომასალა;
- ვიდეოები, რომლის მეშვეობითაც ვიგებდი და ვიზიარებდი ამა თუ იმ თემას;
- მასალების გაგება არ წარმოადგენდა ნამდვილად დიდ სირთულეს, უბრალოდ სიამოვნებით დავესწრებოდი FBA-ABC ის შესახებ სემინარს ქართულად.

კითხვაზე

**როგორ ფიქრობთ, რა უფრო გააადვილებდა მუშაობას?**

- მეტი დრო - 0
- ქართულ ენაზე რომ ყოფილიყო - 8
- მეტი სასწავლო მასალა - 0
- ქართველ სტუდენტებთან ყოფნა - 0

კითხვაზე

**დაასახელეთ კონკრეტულად რა გინდათ რომ მსგავსი კურსების დროს თქვენთვის უნივერსიტეტმა გააკეთოს?**

- პირველ რიგში მადლობას ვუხდით უნივერსიტეტს, მსგავს პროექტში რომ ჩავგვრთო. ვისურვებდი მსგავსი კურსები იყოს ქართულად, რათა შევძლო სრულყოფილად მივიღო მონაწილეობა ყველა სახის დავალების შესრულებაში;
- პირველ რიგში არ უნდა იყოს ენობრივი ბარიერი სტუდენტსა და ლექტორს შორის, რადგან აზრთა გაცვლა ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, მე პირადად სრულფასოვნად ვერ გამოვხატე ჩემი ცოდნა და დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ასევე აღვნიშნავ, რომ ძალიან მომეწონა გერმანელი ლექტორების სწავლების მეთოდი, რადგან დიდი დრო ეთმობოდა პრაქტიკულ მეცადინეობას;
- მივესალმები ასეთი განმავითარებელი კურსების არსებობას, ამ შემთხვევაში ენობრივი ბარიერი იყო ძირითადი პრობლემა და თან ონლაინ სახლიდან ვესწრებოდი. აი, მაგალითად უნივერსიტეტში ვყოფილიყავით და მოსმენილი სიტყვასიტყვით რომ ყოფილიყო ნათარგმნი, უფრო გამარტივდებოდა.
- აქვე მინდა აღვნიშნო ნათიას თავდაუზოგავი შრომა რომ დავალებები გაგვეგო. ის გვითარგმნიდა და დამუშავებულს გვიგზავნიდა;

- შეარჩიოს სტუდენტები, რომლებიც კარგად საუბრობენ ინგლისურად, ან თუნდაც მოამზადოს ისინი პროექტისთვის წინასწარ. ასევე კარგი იქნება თუ მეტი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს სტუდენტებს;
- მშობლიურ ენაზე რომ იყოს ბევრად უფრო მარტივი და სტუდენტების ჩართულობაც მეტი იქნება;
- ჩემთვის ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. უბრალოდ, უფრო დიდ პრობლემას „ენობრივი ბარიერი“ წარმოადგენდა;
- ალბათ, ბევრად უკეთესი იქნებოდა ერთ აუდიტორიაში ყოფნა და ერთზე მეტი მთარგმნელი, რათა უფრო ოპერატიული იყოს მუშაობა.